10

პ რ ო ე ქ ტ ი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2024 წლის --- იანვარი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და მიხეილ იაშვილს შორის 2020 წლის 18 ივნისს გაფორმებულ N1 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-4824022225; 22/01/2024) წერილი, რომელშიც მერი, მიხეილ იაშვილის განცხადების საფუძველზე, ითხოვს თანხმობას საკრებულოსაგან, წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და მიხეილ იაშვილს შორის 2020 წლის 18 ივნისს გაფორმებულ N1 ხელშეკრულებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები შემდეგი ჩანაწერით:

1. კერძოდ, ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მეორე ნაწილის მეორე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
   „2. მყიდველი ვალდებულია:
   შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს (ს/კ 421277175) განვითარებისათვის მყიდველმა უზრუნველყოს არანაკლებ 500,000 ლარის ოდენობით ინვესტირება. შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს განვითარებისათვის ინვესტირების თანხა და „საპრივატიზებო პირობით'' დახარჯვა განახორციელეოს მომავალში მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით და საქართველოს ფეხბურთის (სპორტის) განვითარების სახელმწიფო პროგრამის არსებობის განმავლობაში ყოველწლიურად ერთ ეტაპად, ყოველი წლის 31 დეკემბრამდე''.
2. ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მეორე ნაწილის მეხუთე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
   „5. მყიდველის მიერ ინვესტირებული თანხიდან 2024 წლის 31 დეკემბრამდე ჩაირიცხოს 500 000 ლარის ოდენობით. თანხების არაუმეტეს 80% მდე უნდა გაიხარჯოს შპს „საფეხბურო კლუბ წყალტუბოს სამგურალის'' თანამშრომლების, ფეხბურთელების შრომის ანაზღაურებისა და მივლინებისათვის და არანაკლებ 20% უნდა გაიხარჯოს შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარებისათვის.
3. ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მეორე ნაწილის მეექვსე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
   „6.საქართველოს ფეხბურთის განვითარების პროგრამის გაგრძელების შემთხვევაში გააგრძელოს შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს განვითარებისთვის თანხის ინვესტირება და ხარჯვა ზემოთ მითითებული პრინციპის ანალოგიურად (ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად)''.

4. ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მეორე ნაწილის მეშვიდე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
   „7. საქართველოს ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის დასრულების შემთხვევაში შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს განვითარებისათვის მყიდველმა თანხის ინვესტირება უნდა განახორციელოს ყოველწლიურად 500,000 (ხუთასი ათასი ლარი და ნული თეთრი) ლარის ოდენობით ზემოთ მითითებული პრინციპის ანალოგიურად (ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად),

საიდანაც არაუმეტეს 80% მდე თანხა უნდა ჩაირიცხოს შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს თანამშრომლების, ფეხბურთელების შრომის ანაზღაურებისა და მივლინებისათვის, არანაკლებ 20% უნდა დაიხარჯოს შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარებისათვის.“

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და მიხეილ იაშვილს შორის 2020 წლის 18 ივნისს გაფორმებულ N1 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი მ. ბერაძე

შეთანხმებულია

აპარატის უფროსი გ. თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარის

მ/შემსრულებელი ს. კირკიტაძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4824022225**
თარიღი: **22/01/2024**

ადრესატი: შპს ''სამგურალი ''
მისამართი: წყალტუბო

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,
გაცნობებთ, რომ 2020 წლის 18 ივნისს წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და მიხეილ იაშვილს შორის გაფორმდა ხელშეკრულება N1, რომლის თანახმად საკუთრებაში გადაეცა შპს ,,საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალის'' (ს/კ 421277175) 100 % წილი შემდეგი პირობით:
შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი"-ს (ს/კ 421277175) განვითარებისათვის მყიდველმა უნდა უზრუნველყოს არანაკლებ 500,000 ლარის ოდენობით ინვესტირება. შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი"-ს განვითარებისათვის ინვესტირების თანხა და ,,საპრივატიზებო პირობით'' დახარჯვა განახორციელოს მომავალში მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით და საქართველოს ფეხბურთის (სპორტის) განვითარების სახელმწიფო პროგრამის არსებობის განმავლობაში ყოველწლიურად ორ ეტაპად. პირველი ეტაპი 1 ივლისამდე და მეორე ეტაპი 31 დეკემბრამდე.
კერძოდ:
1. მყიდველის მიერ ინვესტირებული თანხიდან 2020 წლის 1 ივლისამდე ჩაირიცხოს 250 000 ლარის ოდენობით და 2020 წლის 31 დეკემბრამდე 250 000 ლარის ოდენობით. თანხების არაუმეტეს 80% მდე უნდა გაიხარჯოს შპს ,,სამგურალის'' თანამშრომლების, ფეხბურთელების შრომის ანაზღაურებისა და მივლინებისათვის და არანაკლებ 20% უნდა გაიხარჯოს შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი"-ს ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარებისათვის.
2. მყიდველის მიერ ინვესტირებული თანხიდან 2021 წლის 1 ივლისამდე ჩაირიცხოს 250 000 ლარის ოდენობით და 2021წლის 31 დეკემბრამდე 250 000 ლარის ოდენობით. თანხების არაუმეტეს 80% მდე უნდა გაიხარჯოს შპს ,,საფეხბურო კლუბ სამგურალის'' თანამშრომლების, ფეხბურთელების შრომის ანაზღაურებისა და მივლინებისათვის და არანაკლებ 20% უნდა გაიხარჯოს შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი"-ს ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარებისათვის.
3. მყიდველის მიერ ინვესტირებული თანხიდან 2022 წლის 1 ივლისამდე ჩაირიცხოს 250 000 ლარის ოდენობით და 2022 წლის 31 დეკემბრამდე 250 000 ლარის ოდენობით. თანხების არაუმეტეს 80% მდე უნდა გაიხარჯოს შპს ,,საფეხბურო კლუბ სამგურალის'' თანამშრომლების, ფეხბურთელების შრომის ანაზღაურებისა და მივლინებისათვის და არანაკლებ 20% უნდა გაიხარჯოს შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი"-ს) ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარებისათვის.
4. მყიდველის მიერ ინვესტირებული თანხიდან 2023 წლის 1 ივლისამდე ჩაირიცხოს 250 000 ლარის ოდენობით და 2023 წლის 31 დეკემბრამდე 250 000 ლარის ოდენობით. თანხების არაუმეტეს 80% მდე უნდა გაიხარჯოს შპს ,,საფეხბურო კლუბ სამგურალის'' თანამშრომლების, ფეხბურთელების შრომის ანაზღაურებისა და მივლინებისათვის და არანაკლებ 20% უნდა გაიხარჯოს შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი"-ს)

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარებისათვის.
5. მყიდველის მიერ ინვესტირებული თანხიდან 2024 წლის 1 ივლისამდე ჩაირიცხოს 250 000 ლარის ოდენობით და 2024 წლის 31 დეკემბრამდე 250 000 ლარის ოდენობით. თანხების არაუმეტეს 80% მდე უნდა გაიხარჯოს შპს ,,საფეხბურო კლუბ სამგურალის'' თანამშრომლების, ფეხბურთელების შრომის ანაზღაურებისა და მივლინებისათვის და არანაკლებ 20% უნდა გაიხარჯოს შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი"-ს ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარებისათვის.
6.საქართველოს ფეხბურთის განვითარების პროგრამის გაგრძელების შემთხვევაში გააგრძელოს შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი"-ს განვითარებისთვის თანხის ინვესტირება და ხარჯვა ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპის ანალოგიურად.
7. საქართველოს ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის დასრულების შემთხვევაში შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი"-ს განვითარებისათვის მყიდველმა თანხის ინვესტირება უნდა განახორციელოს ყოველწლიურად 500,000 (ხუთასი ათასი ლარი და ნული თეთრი) ლარის ოდენობით მითითებული პრინციპის ანალოგიურად, საიდანაც არაუმეტეს 80% მდე თანხა უნდა ჩაირიცხოს შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი"-ს თანამშრომლების, ფეხბურთელების შრომის ანაზღაურებისა და მივლინებისათვის, არანაკლებ 20% უნდა დაიხარჯოს შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი"-ს ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარებისათვის.
2024 წლის 17 იანვარს წერილობით მოგვმართა მიხეილ იაშვილმა, რომლითაც ითხოვს შეტანილ იქნას ცვლილება ხელშეკრულებაში იმ კუთხით, რომ მყიდველს დაეკისროს ვალდებულება, ყოველწლიურად არა უგვიანეს 31 დეკემბრისა შეიტანოს ხელშეკრულებით გათვალიწინებული თანხა კლუბის განვითარებისთვის ანგარიშზე თანხის ორჯერ შეტანის ნაცვალდ ერთხელ ყოველი წლის 31 დეკემბრამდე, ვინაიდან ვალდებულების შესასრულებლად ორჯერ არის წარმოსადგენი მერიის წინაშე აუდიტორული ანგარიშგების განხორციელება, რაც საფეხბურთო კლუბის მიერ დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული.
აღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით მოგვცეთ თანხმობა შეტანილ იქნას ცვლილება 2020 წლის 18 ივნისს წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და მიხეილ იაშვილს შორის გაფორმებულ N1 ხელშეკრულებაში. აქვე გაცნობებთ, რომ ცვლილება არ იწვევს ფინანსური და საინვესტიციო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული პირობების შეცვლას.

1. კერძოდ, ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მეორე ნაწილის მეორე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,2. მყიდველი ვალდებულია:

შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი"-ს (ს/კ 421277175) განვითარებისათვის მყიდველმა უზრუნველყოს არანაკლებ 500,000 ლარის ოდენობით ინვესტირება. შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი"-ს განვითარებისათვის ინვესტირების თანხა და ,,საპრივატიზებო პირობით'' დახარჯვა განახორციელეოს მომავალში მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით და საქართველოს ფეხბურთის (სპორტის) განვითარების სახელმწიფო პროგრამის არსებობის განმავლობაში ყოველწლიურად ერთ ეტაპად, ყოველი წლის 31 დეკემბრამდე''.

2. ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მეორე ნაწილის მეხუთე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,5. მყიდველის მიერ ინვესტირებული თანხიდან 2024 წლის 31 დეკემბრამდე ჩაირიცხოს 500 000 ლარის ოდენობით. თანხების არაუმეტეს 80% მდე უნდა გაიხარჯოს შპს ,,საფეხბურო კლუბ წყალტუბოს სამგურალის'' თანამშრომლების, ფეხბურთელების შრომის ანაზღაურებისა და მივლინებისათვის და არანაკლებ 20% უნდა გაიხარჯოს შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი"-ს ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარებისათვის.

3. ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მეორე ნაწილის მეექვსე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,6.საქართველოს ფეხბურთის განვითარების პროგრამის გაგრძელების შემთხვევაში გააგრძელოს შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი"-ს განვითარებისთვის თანხის ინვესტირება და ხარჯვა ზემოთ მითითებული პრინციპის ანალოგიურად (ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად)''.

4. ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მეორე ნაწილის მეშვიდე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,7. საქართველოს ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის დასრულების შემთხვევაში შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს განვითარებისათვის მყიდველმა თანხის ინვესტირება უნდა განახორციელოს ყოველწლიურად 500,000 (ხუთასი ათასი ლარი და ნული თეთრი) ლარის ოდენობით ზემოთ მითითებული პრინციპის ანალოგიურად (ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად), საიდანაც არაუმეტეს 80% მდე თანხა უნდა ჩაირიცხოს შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს თანამშრომლების, ფეხბურთელების შრომის ანაზღაურებისა და მივლინებისათვის, არანაკლებ 20% უნდა დაიხარჯოს შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარებისათვის.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge